# საკანონმდებლო ცვლილებები სექსუალური შევიწროების და დისკრიმინაციის წინააღმდეგ

საქართველო პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების ინიციატივით და USAID-PROLoG-ის მხარდაჭერით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები სექსუალური შევიწროების სამუშაო ადგილზე და საჯარო სივრცეში რეგულირების მიზნით. ამავე ცვლილებებით, მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახალხო დამცველის უფლებამოსილება ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ეფექტიანად გამოყენების და გადაწყვეტილებათა აღსრულების მიმართულებით.

ცვლილებების თანახმად, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შემთხვევების შესწავლაზე და აღსრულებაზე პასუხისმგებელი იქნება საქართველოს სახალხო დამცველი, ხოლო საჯარო სივრცეში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

## სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილზე

შრომით ურთიერთობებში სექსუალური შევიწროების რეგულირების მიზნით ცვლილებები შევიდა „საქართველოს შრომის კოდექსში“, და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონებში, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

- ➢ შრომით ურთიერთობებში სექსუალურ შევიწროებად ჩაითვლება პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ ან ღირსების შემლახველ გარემოს.
- ➢ დამსაქმებელი ვალდებული იქნება მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის მიზნით, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.
- ➢ საქართველოს სახალხო დამცველს ექნება უფლება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს, ხოლო დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებით ასევე ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს მოსთხოვოს და დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა მიიღოს შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, დოკუმენტი და სხვა მასალა; მოსთხოვოს და მიიღოს წერილობითი ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე.
- ➢ სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებული იქნება განიხილოს ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები.

➢ საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილი იქნება, როგორც მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს რეკომენდაციის შესრულება იმ იურიდიული პირისგან, ორგანიზაციული წარმონაქმნისგან, გაერთიანებისგან იურიდიული პირის შეუქმნელად ან/და მეწარმე სუბიექტისგან, რომელმაც მისი ვარაუდით განახორციელა დისკრიმინაცია და მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა.

➢ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება ექნება 1 წლის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს მაშინაც, თუ შრომითი ურთიერთობა რომლის დროსაც დისკრიმინაცია განხორციელდა, უკვე დასრულებულია.

## სექსუალურო შევიწროება საჯარო სივრცეში

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების რეგულირების მიზნით ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

სექსუალური შევიწროებად საჯარო სივრცეში ჩაითვლება საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ ან ღირსების შემლახველ გარემოს. სექსუალური ხასიათის ქცევაში იგულისხმება სექსუალური ხასიათის ფრაზების გამოთქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება, ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.

➢ საჯარო სივრცეში (საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სკვერებში და სხვა) სექსუალური შევიწროება გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით

➢ იგივე ქმედება ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში, - გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით

➢ საჯარო სივრცეში ჩადენილი სექსუალური შევიწროება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიმართ ან არასრულწლოვნის თანდასწრებით - გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე ოდენობით; ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში ან ორი ან მეტი პირის მიერ - გამოიწვევს დაჯარიმებას 800-დან 1000 ლარამდე ოდენობით, ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 10 დღემდე ვადით.

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ჩადენის შესახებ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები, ხოლო საქმეს განიხილავს სასამართლო 7 დღის ვადაში.